დამტკიცებულია:

ა(ა)იპ „გიორგი მთაწმინდელის სახელობის

გალობის უნივერსიტეტის“ რექტორის 2023 წლის 08 დეკემბრის

№03 ბრძანებით (დანართი 22)

ა(ა)იპ „გიორგი მთაწმინდელის სახელობის გალობის უნივერსიტეტის“ სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმები და მეთოდოლოგია

მუხლი 1. სტუდენტთა საერთო რაოდენობის განსაზღვრის მექანიზმები

წინამდებარე წესი განსაზღვრავს ა(ა)იპ „გიორგი მთაწმინდელის სახელობის გალობის უნივერსიტეტის“ (შემდგომში „უნივერსიტეტი“) სტუდენტთა მაქსიმალური ტევადობის დადგენას, რომლის ფარგლებშიც უნივერსიტეტი უზრუნველყოფს თითოეული სტუდენტისთვის ხარისხიანი განათლების მიღების შესაძლებლობას და რომლის ფარგლებშიც უფლებამოსილია გამოაცხადოს კონკრეტულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მისაღებ სტუდენტთა რაოდენობა.
კონტინგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგიას, დაფუძნებულს უნივერსიტეტის რესურსებზე, სათანადო ინდიკატორებსა და სამიზნე ნიშნულებზე.

მუხლი 2. სტუდენტთა კონტინგენტის განსაზღვრის კრიტერიუმები.

2.1 სტუდენტთა კონტინგენტის განსაზღვრის კრიტერიუმებია:

2.1.1 ადამიანური რესურსი;

2.1.2 მატერიალური რესურსი (უნივერსიტეტის საკუთრებაში/სარგებლობაში არსებული სასწავლო და დამხმარე ფართის საერთო რაოდენობა);

2.1.3 აუდიტორიებში დასაჯდომი ადგილების რაოდენობა;

2.1.4 საინფორმაციო რესურსი;

2.1.5 ფინანსური რესურსი.

მუხლი 3. სტუდენტთა კონტინგენტის განსაზღვრის სამიზნე ნიშნულები.

3.1 უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგიული გეგმით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად, საჭიროა ისეთი სამიზნე ნიშნულების დადგენა, რომლებიც დამახასიათებელია წამყვანი უნივერსიტეტებისთვის. უნივერსიტეტის ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსების მნიშვნელობებს, გააჩნიათ შემდეგი სამიზნე ნიშნულები:

3.1.1 ადამიანური რესურსი:

3.1.1.1 აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა ადეკვატურია სტუდენტთა კონტიგენტის ზღვრული რაოდენობის და თანაფარდობა არ აღემატება 1/10;

3.1.1.2 მოწვეული პერსონალის თანაფარდობა აკადემიურ პერსონალთან მიმართებაში არ აღემატება 1/1;

3.1.1.3 აკადემიური და მოწვეული პერსონალის დენადობა უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას და არ აღემატება 5%-ს;

3.1.2 მატერიალური და საინფორმაციო რესურსი:

3.1.2.1 უნივერსიტეტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსი საშუალებას იძლევა, რომ ბაკალავრიატის და მაგისტრატურის საფეხურის სტუდენტებს სწავლის შესაძლებლობა ჰქონდეთ 9 საათიდან 19 საათამდე, კვირაში 5 დღე ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით.

რაც შეეხება ბიბლიოთეკას, ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით იმუშავებს 9 საათიდან 20 საათამდე, ხოლო შაბათ დღეს 10 საათიდან 15 საათამდე.

3.1.2. სასწავლო ფართი - ერთ სტუდენტზე მინიმუმ 3 კვ.მ.;

3.1.2.1 უნივერისტეტის მთელი შენობა აღჭურვილია ინტერნეტით;

3.1.2.2 სასწავლო სივრცეებში განთავსებული კომპიუტერების რაოდენობა- 1 კომპიუტერი 10 სტუდენტზე;

3.1.2.3 საბიბლიოთეკო რესურსი, სადაც ხელმისაწვდომია საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული სავალდებულო ლიტერატურა და ელექტრონული რესურსები, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას;

3.1.2.4 ბიბლიოთეკაში არსებობს მოწყობილობა, რომლითაც შესაძლებელია დაბეჭდვა, ასლის გადაღება და სკანირება;

3.1.2.5 ხელმისაწვდომია აკადემიური ჟურნალების უახლესი გამოცემები.

3.1.3 ფინანსური რესურსი და მდგრადობა:

3.1.3.1 უნივერსიტეტის ფინანსური უზრუნველყოფის წყაროები არის:

3.1.3.1.1 სტუდენტების მიერ გადახდილი სწავლის საფასური;

3.1.3.1.2 გრანტები;

3.1.3.1.3 დაფინანსება საქართველოს საპატრიარქოდან;

3.1.3.1.4 დაფინანსება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროდან;

3.1.3.1.5 პირადი შემოწირულობები.

3.2 უნივერსიტეტის სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის დროს ხდება აღნიშნული ასპექტების შესაბამისობის დადგენა სამიზნე ნიშნულებთან.

3.3 სტუდენტთა მისაღებ კონტიგენტზე გადაწყვეტილებას იღებს რექტორი, ფაკულტეტის წარდგენის საფუძველზე.

მუხლი 4. ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი

4.1 სტუდენტთა კონტიგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგიაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფისსამსახურის ხელმძღვანელის ინიციატივის საფუძველზე, რექტორის გადაწყვეტილებით.

გალოზის
უნივერსიტეტი